ოქმი:**ო63. 63262162**
თარიღი:**04/08/2026**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს**

**იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და**

**სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი N 10**

30 ივლისი.2026 წელი.

მიმდინარე წლის 30 ივლისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

**სხდომას ესწრებოდნენ:** მანანა სირბილაძე, მარიამ ცომაია, მაია ტალაბაძე, გოჩა არველაძე, ლაშა მუქერია, გიორგი გაგუა, ანა გეგეშიძე.

**დღის წესრიგი:**

☐ **1.** ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

☐ ***მომხსენებელი: მანანა სირბილაძე.**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

☐ **2.** ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

☐ ***მომხსენებელი: მანანა სირბილაძე.**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

☐ **3.** ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების

საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების საფუძველზე ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე 2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

***მომხსენებელი: მანანა სირბილაძე.**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

4. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (7 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (7 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

**<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u>** სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მანანა სირბილაძე - ცვლილება მდგომარეობს შემდგომში:

**მუხლი 1.**

**1.** ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ” სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 ივნისის №20 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 01. 07. 2026. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.120.016553) შეტანილ იქნეს ცვლილება.

**2.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის მე-7 მუხლის:

**ა)** მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. თავშესაფრიდან ურბანული გარემოს პირვანდელ ან სხვა მიზანშეწონილ არეალში დასაბრუნებელი ან/და მისაკედლებელი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდება მიკროჩიპით/ტრანსპონდერით ან საყურე ნიშნით (საჭდით). თავშესაფრიდან გასაჩუქებელი ცხოველების იდენტიფიკაცია ხორციელდება აღნიშნული იდენტიფიკაციის საშუალებით.’’

**ბ)** მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. თავშესაფარში შეყვანილი ცხოველების (ძაღლი, კატა) სავალდებულო იდენტიფიკაციას მიკროჩიპით/ტრანსპონდერით ან საყურე ნიშნით (საჭდით) უსასყიდლოდ ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო, თავშესაფრის მესაკუთრის/მფლობელის სურვილის შემთხვევაში და წინასწარი განაცხადის საფუძველზე.’’

**3.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი

***დანართი №1***

**ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობა**

**N 0000001**

**ცხოველი:**

1. სახეობა .....

2. ჯიში .....

3. სქესი .....

4. ასაკი .....

5. გარეგანი აღწერილობა .....

6. იდენტიფიკატორი .....

(მიკროჩიპის/ტრანსპონდერის ან საყურე ნიშნის (საჭდის) N)

7. მუდმივი ადგილსამყოფლის მისამართი .....

**ცხოველის პატრონი:**

1. სახელი, გვარი .....

2. პირადი № .....

3. მისამართი (ფაქტობრივი და რეგისტრაციის) .....

4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

.....

**რეგისტრატორი:**

1. სახელი, გვარი .....

2. დასახელება, ID N .....

3. მისამართი (ფაქტობრივი და იურიდიული) .....

4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

.....

..... /სახელი, გვარი/

(ხელმოწერა)

„ ..... “ ..... 202 ... წ.

(თარიღი)

ბეჭდის

ადგილი

**ცხოველის პატრონი:**

..... /სახელი, გვარი/

(ხელმოწერა)

„ ..... “ ..... 202 ... წ.

(თარიღი)

(ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობის N 0000001 მეორე მხარე ან დანართი)’’

კომისიის წევრებმა მოისმინეს და დააფიქსირეს მოსაზრებები.

**დაადგინეს:** კენჭისყრის შედეგად (7 ხმით), იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

**<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u>** სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მანანა სირბილაძე - წარმოგიდგენთ ცვლილებას:

**მუხლი 1.**

**1.** ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ’’ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის №49 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებ-პორტალი, 11. 04. 2022. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.120.016409) შეტანილ იქნეს ცვლილება.

**2.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-5 მუხლის მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

17. სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ $36^1$-ე, $51^3$-ე, $53^3$-ე, 55-ე, $55^2$-ე, $55^3$-ე, $55^6$-ე, $77^1$-ე, $82^5$-ე (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, $103^2$-ე, $119^1$-ე მუხლების, 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილების, $125^4$-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, $127^1$-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 134-ე, 135-ე, $135^1$-ე, $146^1$-ე, 148-ე, 150-ე, $150^1$-ე, 151-ე, $151^2$-ე, 152-ე, $152^2$-ე, $153^4$-ე მუხლების, $158^5$-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 159-ე და $159^1$-ე მუხლების, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 39-ე მუხლის, 43-ე მუხლის პირველი ნაწილის, 46-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლის საფუძველზე.

**3.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-9 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,13. სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ $36^1$-ე, $53^3$-ე, $55^2$-ე, $55^6$-ე, $77^1$-ე და $82^5$-ე (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში) მუხლების, 103-ე მუხლის, $103^2$-ე მუხლის, 125-ე მუხლის მე–8, მე-12 – მე-14 ნაწილების, $125^4$-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 135-ე და $135^1$-ე მუხლების, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, $152^2$-ე მუხლის, $158^5$-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების და 159-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 39-ე მუხლისა და 43-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და დააფიქსირეს მოსაზრებები.

**დაადგინეს:** კენჭისყრის შედეგად (7 ხმით), იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

**<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u>** სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების საფუძველზე ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე 2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

მანანა სირბილაძე - შეთანხმება მდგომარეობს შემდგომში:

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო (შემდგომში - „სამინისტრო“), წარმოდგენილი მინისტრის - კახაბერ გულედანის სახით და სამტრედიის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - „მუნიციპალიტეტი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის დავით ბახტაძის სახით, ერთად წოდებულნი როგორც მხარეები, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 10 ივლისის N 1476 განკარგულებისა და მხარეებს შორის 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება““) მე-5 მუხლის 5.3. პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით და ვდებთ შეთანხმებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტის:**

2. **ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

3. „ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რეაბილიტაციასთან დაკავშირებული თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა).“

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

გაზიფიცირების, ელექტროენერგიის მიწოდებისა და წყალმომარაგების მიზნით, ახალ აბონენტად რეგისტრაციასთან, ხოლო აბონენტებად უკვე რეგისტრირებული აღნიშნული დაწესებულებების შემთხვევაში, მითითებულ კომუნალურ მომსახურებებზე, სიმძლავრეების გაზრდის მიზნით დაკავშირებულები საჭიროებების უზრუნველყოფა, ასევე საწვავის, ბრიკეტისა და შეშის შესყიდვა.“

გ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სარგებლობაში არსებული ტერიტორიის/ეზოს კეთილმოწყობა, მათ შორის: ეზოების რეაბილიტაცია, ღობის მოწყობა, დამხმარე შენობა-ნაგებობების განთავსება და სხვა შესაბამისი სამუშაოები, თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა)“

2. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

3. ხელშეკრულების სხვა პირობები/დანართები, რომლებიც არ იცვლება შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებასა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის წარმოქმნის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას

4. შეთანხმებიდან გამომდინარე, ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

6. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 3 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და დააფიქსირეს მოსაზრებები.

**დაადგინეს:** კენჭისყრის შედეგად (7 ხმით), იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

**სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/**

მანანა სირბილაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი